

თავდებობის ხელშეკრულება

თარიღი:

ერთი მხრივ სს “ვითიბი ბანკი ჯორჯიას” ----- (-----) (შემდგომ “კრედიტორი”) ----ს სახით, მოქმედი მინდობილობის საფუძველზე და --- (---პ/ნ ს/კ) ---- რომელსაც წარმოადგენს ---- (შემდგომ “თავდები”) მეორე მხრივ, ვაფორმებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. თავდები კისრულობს სოლიდარულ პასუხისმგებლობას კრედიტორსა და ---ს (-----პირადი ნომერი: ----- საიდენტიფიკაციო ნომერი:-----) (შემდგომ „მსესხებელი“) შორის დადებული საბანკო კრედიტის ხელშეკრულებით მსესხებლის მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულებისათვის, რაც გამოიხატება კრედიტორისთვის ფულადი თანხის გადახდაში.

2. თავდებობით უზრუნველყოფილი ვალდებულება

- 2.1. თავდებობით უზრუნველყოფილი ვალდებულების წარმოშობის საფუძველია კრედიტორსა და მსესხებელს შორის ----- წელს ----- დადებული საბანკო კრედიტის ხელშეკრულება N -----
- 2.2. საბანკო კრედიტის ხელშეკრულების თანახმად საბანკო კრედიტის ოდენობა შეადგენს ----
- 2.3. საბანკო კრედიტით სარგებლობისათვის საპროცენტო განაკვეთის ოდენობა შეადგენს წლიურ -----%-ს.
- 2.4. საბანკო კრედიტის დაფარვის საბოლოო ვადა: -----
- 2.5. საბანკო კრედიტის გადახდის დაყოვნებისათვის კრედიტს დაერიცხება პირგასამტეხლო - -----, დამატებით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ვადაგადაცილებული თანხის -----%.

3. თავდების პასუხისმგებლობის ოდენობა

- 3.1. წინამდებარე ხელშეკრულებით თავდების მიერ ნაკისრი პასუხისმგებლობის ოდენობაა .
- 3.2. წინამდებარე ხელშეკრულების 3.1 პუნქტით გათვალისწინებული თანხით თავდები კრედიტორის წინაშე პასუხს აგებს ძირითადი ვალისათვის, მსესხებლის მიერ გადასახდელი პროცენტებისათვის, საკომისიოებისათვის, პირგასამტეხლოსათვის, ბანკისთვის მიყენებული ზიანისათვის, ხელშეკრულების შეწყვეტისა და სასამართლო/ არბიტრაჟის ხარჯებისათვის.
- 3.3. თავდები კისრულობს თავდებობას მსესხებელთან შეთანხმებით. ამასთან, თავდები ადასტურებს, რომ არ მოქმედებს მსესხებლის დავალებით და რომ მის მიერ თავდებად დადგომა არ განიხილება როგორც დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულება.

4. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

- 4.1. კრედიტორი ვალდებულია შეატყობინოს თავდებს საბანკო კრედიტის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასათანადო შესრულების შესახებ და მოსთხოვოს მას ვალდებულების შესრულება, ხოლო თავდები თავის მხრივ ვალდებულია შეტყობინების მიღებიდან 3 დღის ვადაში შეასრულოს ნაკისრი ვალდებულებები.
- 4.2. თავდები ადასტურებს, რომ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნებისმიერი შეტყობინება/ გაფრთხილება შესაძლებელია მას წარედგინოს როგორც ქაღალდის მატარებელზე-ფოსტით, ფაქსით ან უშუალოდ კრედიტორის თანამშრომლის საშუალებით, ასევე მობილურ ტელეფონზე SMS -შეტყობინებით, ელექტრონული ფოსტით.
- 4.3. თავდები მოვალეა დროულად წერილობით შეატყობინოს კრედიტორს ხელშეკრულებაში მითითებული ნებისმიერი მონაცემის ცვლილების შესახებ. კრედიტორის მიერ წერილობითი შეტყობინების მიღებამდე, კრედიტორის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ რეკვიზიტებზე გაგზავნილი შეტყობინება/გაფრთხილება თავდების მიერ ჩაითვლება მიღებულად.
- 4.4. თავდები უფლებამოსილია კრედიტორს წაუყენოს ყველა ის შესაგებელი, რომლის უფლებაც მსესხებელს გააჩნია. თავდები არ კარგავს შესაგებელზე უფლებას იმ შემთხვევაშიც კი თუკი მსესხებელმა უარი თქვა მასზე.
- 4.5. თავდები პასუხისმგებლობას იღებს მსესხებლის მიერ ფულადი ვალდებულებების შეუსრულებლობისას კრედიტორის მიერ მოთხოვნის წაყენების შემთხვევაში შეასრულოს მსესხებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებანი.
- 4.6. კრედიტორი უფლებამოსილია წაუყენოს თავდებს მოთხოვნა მსესხებლის მიმართ იძულებითი აღსრულების მცდელობის გარეშე, თუ მსესხებელმა გადააცილა საბანკო კრედიტის ხელშეკრულებით განსაზღვრულ გადახდის ვადას, ან საბანკო კრედიტის ხელშეკრულება ვადამდე შეწყდა (მიუხედავად შეწყვეტის მიზეზისა და საფუძვლის), ან მსესხებლის გადახდისუუნარობა აშკარაა.
- 4.7. თავდების მიერ ვალდებულების შესრულების შემთხვევაში კრედიტორი ვალდებულია მიაწოდოს მას მის ხელთ არსებული ყველა საჭირო საბუთი, რომელიც ადასტურებს მოთხოვნის არსებობას მსესხებლის მიმართ.

4.8 თავდები უფლებამოსილებას ანიჭებს ბანკს თავდებთან და წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია (პოზიტიური ან/და ნეგატიური, ასევე პერსონალური მონაცემები) გადასცეს სს „კრედიტინფო საქართველოს“ (საიდენტიფიკაციო კოდი 204470740) ან/და მსგავსი ფუნქციის მქონე ნებისმიერ დაწესებულებას მონაცემთა ბაზაში შესატანად, რის საფუძველზეც ეს ინფორმაცია გახდება ხელმისაწვდომი მესამე პირისათვის. აგრეთვე, თავდები უფლებამოსილებას ანიჭებს ბანკს თავდებთან და წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებთან დაკავშირებული ინფორმაცია გამოიყენოს ვი თი ბი ჯგუფის ჯგუფური ანგარიშგების შედგენის მიზნებისათვის;

4.9 საბანკო კრედიტს ხელშეკრულებით ან/და წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებ(ებ)ის დარღვევის შემთხვევაში, დავალიანების მსესხებლისაგან ან/და თავდებისგან ამოღების მიზნებისათვის, თავდები უფლებამოსილებას ანიჭებს ბანკს თავდებთან და წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებთან დაკავშირებული ინფორმაცია გადასცეს მესამე პირებს;

4.9.1 ბანკი უფლებამოსილია გადასცეს თავდებთან და წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებთან დაკავშირებული ინფორმაცია მესამე პირს ბანკის მიერ თავდების მიმართ წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე არსებული მოთხოვნის დათმობის მიზნით.

4.9.2. ბანკი უფლებამოსილია თავდებთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია/დოკუმენტი მიაწოდოს გარე აუდიტორს, რომელიც ბანკს უწევს პროფესიულ მომსახურებას.

4.9.3. წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით თავდები პირი თანხმობას ვაცხადებ, რომ სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიაში“ კანონმდებლობით დადგენილი წესით ჩემს მიერ თავდებობის ხელშეკრულების გაფორმების მიზნით და ამ მიზნების განსახორციელებლად, საჭირო მოცულობით მიიღოს სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონული ბაზიდან, ბანკისთვის აუცილებელი, ჩემი პერსონალური მონაცემები.

4.10 თავდები თანახმაა, რომ ბანკმა, თავდებისთვის მომსახურების გაწევის ან/და საბანკო პროდუქტების შეთავაზების მიზნით, როგორც წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, ისე შემდგომ, თავდების დამატებითი თანხმობის გარეშე, ნებისმიერ საკრედიტო-საინფორმაციო მონაცემთა ბაზიდან ან/და სხვა წყაროდან, მათ შორის სს „კრედიტინფო საქართველოს“ (საიდენტიფიკაციო კოდი 204470740) მონაცემთა ბაზიდან მოიძიოს, მიიღოს, გამოიყენოს ან სხვაგვარად დაამუშაოს თავდების შესახებ არსებული ნებისმიერი ინფორმაცია (მათ შორის პერსონალური მონაცემები და საკრედიტო ისტორიის შესახებ მონაცემები).

4.11 თავდები თანახმაა, რომ მსესხებლის მიერ საბანკო კრედიტის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში კრედიტორმა იძულებითი აღსრულება მიმართოს თავდების იმ ქონებაზე, რომელიც არ წარმოადგენს უზრუნველყოფის საგანს. ამასთან, არ არის სავალდებულო, რომ კრედიტორმა, პირველ რიგში, იძულებითი აღსრულება დაიწყოს დაგირავებულ/იპოთეკით დატვირთულ ქონებაზე. კრედიტორი უფლებამოსილია, თავისი შეხედულებისამებრ, იძულებითი აღსრულება პირველ რიგში მიაქციოს თავდების სხვა ქონებაზე.

5. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და მისი შეწყვეტის პირობები

5.1. თავდებობის ხელშეკრულების მოქმედების ვადაა:-----

5.2. წინამდებარე ხელშეკრულება წყდება:

5.2.1. თავდებობით უზრუნველყოფილი ვალდებულების შეწყვეტისას.

5.2.2. თუ კი კრედიტორი უარს განაცხადებს მსესხებლის ან თავდების მიერ ვალდებულების სათანადო შესრულების მიღებაზე.

5.2.3. თავდებობის ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლის შემთხვევაში.

6. განსაკუთრებული პირობები

6.1. თავდები ანიჭებს კრედიტორს უფლებამოსილებას მის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების 4.5. პუნქტით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიაში“ გახსნილი ანგარიშიდან უპირობოდ, უაქცეპტოდ ჩამოწეროს დავალიანების თანხა. იმ შემთხვევაში თუ უაქცეპტო წესით ჩამოსაჭრელი თანხა განსხვავდება დავალიანების ვალუტისაგან, კრედიტორი უფლებამოსილია თავდების ხარჯზე მოახდინოს ერთი სავალუტო ერთეულიდან მეორეში თანხის კონვერტაცია, სს "ვითიბი ბანკ ჯორჯიას" კომერციული კურსის შესაბამისად.

7. სხვა პირობები

7.1. ეს ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის მომენტიდან.

7.2. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია სამ თანაბარძალოვან იურიდიულ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი გადაეცემა თავდებს, ხოლო ორი რჩება ბანკში.

7.3. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა დასაშვებია მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმებით.

7.4. ყველა სადაო საკითხი გადაწყდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

7.5. „ნებისმიერი დავა გამომდინარე ამ ხელშეკრულებიდან, დაკავშირებული მის გაუქმებასთან, შეწყვეტასთან, ბათილობასთან, ხელშეკრულებიდან გასვლასთან და მისგან გამომდინარე ნებისმიერ შედეგთან (მათ შორის უზრუნველყოფის ღონისძიებათა გამოყენებასთან), ასევე წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული საარბიტრაჟო დათქმის ნამდვილობასა და არსებობასთან დაკავშირებული საკითხები განსახილველად და საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად გადაეცემა შპს „საქართველოს საარბიტრაჟო პალატას“ (საიდენტიფიკაციო N205267389), რომლის იურისდიქციას მხარეები აღიარებენ ანულირების გარეშე. აღნიშნული არბიტრაჟი საქმეს

განიხილავს თავისი დებულებით დადგენილი წესით. საქმეს, მისი სირთულიდან გამომდინარე, განიხილავს არბიტრაჟი ერთი ან სამი არბიტრის შემადგენლობით. არბიტრებს ნიშნავს და მათ რაოდენობას განსაზღვრავს არბიტრაჟი. არბიტრაჟის მიერ მიღებული გადაწყვეტილება სასარჩელო მოთხოვნის უზრუნველყოფის შესახებ ექვემდებარება აღსრულებას არბიტრაჟის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე და არ საჭიროებს სასამართლოს მიერ ცნობასა და აღსრულებას.

მხარეები დამატებით იღებენ ვალდებულებას მისამართის ან/და ფაქტობრივი ადგილსამყოფელის შეცვლის შემთხვევაში აცნობონ იგი არბიტრაჟს, წინააღმდეგ შემთხვევაში არბიტრაჟის მიერ კორესპოდენცია გაგზავნილი იქნება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მისამართის მიხედვით და კორესპოდენცია (მათ შორის გზავნილი, გარკვეულ საარბიტრაჟო მოქმედებათა შესახებ შეტყობინება, განკარგულება, გადაწყვეტილება და ა.შ.) ჩაითვლება ჩაბარებულად (შესაბამისი თანმდევი სამართლებრივი შედეგებით).

7.6 ბანკს უფლება აქვს შეტყობინება ან სხვა დოკუმენტი გადასცეს თავდებს ან გაუგზავნოს შეტყობინება/დოკუმენტი (კურიერის ან საფოსტო ორგანიზაციის მეშვეობით) წინამდებარე ხელშეკრულების მე-8 მუხლში მითითებულ მისამართზე ან თავდების იმ მისამართზე რომელიც რეგისტრირებულია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში/მითითებულია პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტში. შეტყობინება/დოკუმენტი შეიძლება ასევე გაგზავნილ/გადაცემულ იქნეს მე-8 მუხლში მითითებულ ტელეფონის ნომერზე მოკლე ტექსტური შეტყობინების ფორმით, ფაქსით, ელექტრონული ფოსტით ან სხვა კომუნიკაციის საშუალებით. შეტყობინება/დოკუმენტი შეიძლება ასევე გაგზავნილ/გადაცემულ იქნეს თავდების იმ ტელეფონის ნომერზე მოკლე ტექსტური შეტყობინების ფორმით, ფაქსით, ელექტრონული ფოსტით ან სხვა კომუნიკაციის საშუალებით რომელიც რეგისტრირებულია საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში. შეტყობინების/დოკუმენტის გაგზავნა ნებისმიერი ამ პუნქტში დათქმული ფორმით ჩაითვლება თავდებისათვის შეტყობინების ჩაბარებად. შეტყობინების/დოკუმენტის გაგზავნა ბანკის სახელით ბანკის თანამშრომლის მიერ ტელეფონის ნომრიდან მოკლე ტექსტური შეტყობინების ფორმით ან ელექტრონული ფოსტით ზემოაღნიშნულ რეკვიზიტებზე ჩაითვლება თავდებისთვის შეტყობინების ჩაბარებად.

შეტყობინება თავდების მიერ მიღებულად/ჩაბარებულად ითვლება:

- პირადად მიწოდების შემთხვევაში - შეტყობინების ან სხვა დოკუმენტის თავდებისათვის ჩაბარების დღეს.
- კურიერის ან საფოსტო ორგანიზაციის მეშვეობით შეტყობინების ან სხვა დოკუმენტის გაგზავნის შემთხვევაში - კურიერის/საფოსტო ორგანიზაციისთვის ჩაბარების დღიდან მე-5 კალენდარულ დღეს, ან თავდებისათვის ჩაბარების დადასტურების თარიღის დღეს, რომელსაც უფრო ადრე ექნება ადგილი.
- ელექტრონული ფოსტის საშუალებით გაგზავნის შემთხვევაში - თავდების ელექტრონული ფოსტის სერვერიდან (მისამართიდან) ბანკის მიერ გაგზავნილი შეტყობინების მიღების შესახებ დასტურის მიღების დღეს ან გაგზავნიდან მომდევნო დღეს, რომელსაც უფრო ადრე ექნება ადგილი.
- ნებისმიერი სხვა საშუალებით გაგზავნის შემთხვევაში - გაგზავნის თარიღიდან მეორე დღეს.

ბანკის შეტყობინება ან სხვა დოკუმენტი თავდებზე მიღებულად/ჩაბარებულად ჩაითვლება იმ შემთხვევაშიც, თუ ბანკს შეტყობინება დაუბრუნდა გაგზავნილ მისამართზე თავდების ადგილსამყოფელის/საცხოვრებელი ადგილის არ არსებობის გამო ან თავდები უარს განაცხადებს შეტყობინების ან დოკუმენტის მიღებაზე/ჩაბარებაზე ან თავს აარიდებს მის მიღებას ან ბანკი ელექტრონული ფოსტის მეშვეობით მიიღებს თავდების ელექტრონული ფოსტის მისამართის გაუქმების ან არ არსებობის შესახებ შეტყობინებას.

თუ მოხდა მე-8 მუხლში მითითებული თავდების რომელიმე რეკვიზიტის/საკონტაქტო მონაცემის შეცვლა და ამის შესახებ წერილობით არ ეცნობება ბანკს, შეტყობინება/დოკუმენტი თავდების მიერ მიღებულად/ჩაბარებულად ითვლება მითითებულ რეკვიზიტზე/საკონტაქტო მონაცემზე გაგზავნის შემთხვევაშიც.

8. მხარეთა რეკვიზიტები

“კრედიტორი“	“თავდები“
სს "ვითიბი ბანკი ჯორჯია"	სახელი, გვარი
ფილიალი	პ/ნ
მისამართი	გამც.ორგ.
ხელმომწერი პირი	მისამართი:
(995 32) 2242424	ტელ.: ელ.ფოსტა: